# პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

**ქალები ბიზნესში**



**განხორციელების ვადა:** 30.12.2015 - 29.12.2022

**EaP ქვეყნები:**
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

**ევროკავშირის წვლილი:** € 5 035 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
EBRD

**პროექტის ვებსაიტები:** ebrdwomeninbusiness.com/

**პროექტის აღწერა:**
ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროგრამა „ქალები ბიზნესში“ ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ, ჰქონდეთ წვდომა ფინანსებზე და განვითარებისთვის საჭირო „ნოუ-ჰაუზე“. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი უზრუნველყოფს ფინანსებზე წვდომას ადგილობრივი ბანკებისთვის საკრედიტო ხაზების გამოყოფით, რომლებიც ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას ხმარდება. ბანკი ასევე გასცემს ბიზნეს-რეკომენდაციებს კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ტრენინგი მენტორობა და სხვა მხარდაჭერა, რაც ქალ მეწარმეებს ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებაში ეხმარება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ქალების მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა ფინანსებზე წვდომის და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.
- სტაბილური ფინანსური პროდუქტების შექმნა, რომლებიც კონკრეტულად ქალების მიერ მართულ მცირე და საშუალო საწარმოებზეა მორგებული.
- ქალთა მცირე და საშუალო კომპანიების მხარდაჭერა რეკომენდაციების და „ნოუ-ჰაუს“ მიღებაში.
- ტრენინგი ძირითადი სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის.
- მენტორობის და ქსელური აქტივობის სემინარები.